აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 18

07 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დღის წესრიგში შეტანილი უნდა იქნას ცვლილება, ვინაიდან უსკო-ს მიერ შედგენილი დღის წესრიგის შემდეგ უსკო-ს განცხადებით მომართა №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა და მოითხოვა უფლებამისილების ვადამდე შეწყვეტა. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში არ არის გაწერილი პარტიის მიერ დანიშნული ოლქის წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში პარტიამ რა ვადაში უნდა დანიშნოს მისი ადგილმონაცვლე და პარტიის მიერ ამ უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში ვისზე გადადის ეს უფლება, ამიტომ უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რა ვადაში და რა წესით უნდა მოხდეს ოლქის გამოკლებული წევრის ადგილის შევსება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის ცვლილებით დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;
(მომხ. თ. შარმანაშვილი)

3. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ;
(მომხ. თ. შარმანაშვილი)

4. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
(მომხ. ა. მიქელაძე)

1. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, პოლიტიკურმა გაერთიანება **„საქართველოს რესპუბლიკურმა პარტია“**-მ, რომელსაც საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად უფლება ჰქონდა უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნიდან 7

დღის ვადაში დაენიშნა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, ეს უფლება არ გამოიყენა. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, თუკი პარტია (რომელსაც ეს უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს სააარჩევნო კოდექსით) დადგენილ ვადაში არ დანიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიებში თავის წევრებს, უსკო უფლებამოსილია ამ ვადის ამოწურვიდან მომდევნო დღიდან საოლქო საარჩევნო კომისია შეავსოს 13 წევრამდე. ასევე აღნიშნა, რომ უსკო-ს მიერ გამოცხადებული იქნა კონკურსი საოლქო საარჩევნო კომისიის მე-13 წევრის ვაკანსიაზე, გამოცხადებული ვაკანსებზე უსკოს მიერ შექმნილ სამდივნოში სულ შემოსულია 12 განცხადება. კერძოდ: №79 ბათუმის საარჩევნო ოლქში - ოლქის წევრობაზე განცხადება შემოტანილი აქვთ ნანა ბირკაიას, ირმა ხოზრევანიძეს, ჯემალ ჯიჯავაძეს და თამილა მაკარაძეს; №80 ქედის საარჩევნო ოლქში - ოლქის წევრობაზე განცხადება შემოტანილი აქვთ ვაჟა კურცხალიძეს და შოთა ბერიძეს; №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში - ოლქის წევრობაზე განცხადება შემოტანილი აქვს ეკა შევარდნაძეს. №82 შუახევის საარჩევნო ოლქში - ოლქის წევრობაზე განცხადება შემოტანილი აქვს ნუგზარ დავითაძეს; №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში - ოლქის წევრობაზე განცხადებები შემოტანილი აქვთ ირმა ქობულაძეს, გივი ბარამიძეს და ნაირა აბაშიძეს. კომისიამ განიხილა თითოეული ოლქის წევრობის კანდიდატის განცხადება, წარმოდგენილი თანდართული მასალები და კენჭი უყარეს თითოეულს ცალკ-ცალკე.

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ნანა ბირკაიას არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ირმა ხოზრევანიძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 0;
წინააღმდეგი 13;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ჯემალ ჯიჯავაძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 0;
წინააღმდეგი 13;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის თამილა მაკარაძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 0;
წინააღმდეგი 13;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

დაადგინეს: №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ნანა ბირკაია.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ნანა ბირკაია.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

№80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ვაჟა კურცხალიძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

№80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის შოთა ბერიძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 0;
წინააღმდეგი 13;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

დაადგინეს: №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ვაჟა კურცხალიძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ვაჟა კურცხალიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

№81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ეკა შევარდნაძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

დაადგინეს: №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ეკა შევარდნაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ეკატერინე შევარდნაძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

№82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ნუგზარ დავითაძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

დაადგინეს: №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ნუგზარ დავითაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ნუგზარ დავითაძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

№83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ირმა ქობულაძის არჩევის შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

№83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის გივი ბარამიძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 0;
წინააღმდეგი 13;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

№83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ნაირა აბაშიძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 0;
წინააღმდეგი 13;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

დაადგინეს: №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ირმა ქობულაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ირმა ქობულაძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

№84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ბადრი აბულაძის არჩევის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

დაადგინეს: №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნა ბადრი აბულაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 33-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არჩეული იქნეს №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად ბადრი აბულაძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახსებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს. მომხსენებელმა საარჩევნო კომისიას წარუდგინა საოლქო საარჩევნო კომისიაში პრესის წარმომადგენლის მოწმობის ფორმა. ისაუბრა წარმოდგენილი ფორმის შესახებ, მისი გამოყენების წესებსა და პირობებზე. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს პრესის წარმომადგენლის მოწმობა საოლქო საარჩევნო კომისიაში თანდართული ნიმუშის მიხედვით (ფორმა 6-07.45.01.)

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ თუ

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს პირადი განცხადებით ან სხვა მიზეზით ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, საარჩევნო კანონმდებლობაში არ არის გაწერილი, აქვს თუ არა მის დამნიშვნელ პარტიას უფლება მისი ადგილმონაცვლის დანიშვნაზე და რა ვადში, აგრეთვე თუ პარტიამ ეს უფლება არ გამოიყენა ვისზე გადადის ეს უფლება. ასევე აღნიშნა, რომ უსკო-ს მიერ გათვალისწინებული იქნა აღნიშნული საკითხი და მომზადებული იქნა დადგენილების პროექტი, რომელიც მოაწესრიგებს ხსენებულ საკითხს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, თუკი არსებობს ზემოთაღნიშნული გარემოება, უფლებამოსილმა პარტიამ გადაწყვეტილება საოლქო საარჩევო კომისიის ახალი წევრის დანიშვის შესახებ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 2 დღის ვადაში. ასევე აღნიშნა, რომ თუკი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დამნიშვნელი პარტია არ გამოიყენებს ამ უფლებას, ოლქის წევრის დანიშვნის უფლება ეძლევა უსკო-ს. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთერთი საფუძვლის არსებობისას, უფლებამოსილი

პარტიის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიამ გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი წევრის დანიშვნის შესახებ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 2 დღის ვადაში. უმაღლესი საარჩევნო კომისია აღნიშნულ ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დამნიშვნელ პარტიას აწვდის დაუყოვნებლივ.

მუხლი 2. ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული პარტიის მიერ თავისი უფლებამოსილების გამოუყენლობის შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის უფლება აქვს უმაღლეს საარჩევნო კომისიას, პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის - ზაზა დავითაძის განცხადება - უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ განმცხადებელი პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ წარმოადგენს მაჟორიტარ კანდიდატს №82 შუახევის საარჩევო ოლქში, რის შემდეგაც კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება №82 შუახევის ოლქის წევრის ზაზა დავითაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 95-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. შეუწყდეს უფლებამოსილება №82 შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ზაზა დავითაძეს, საკუთარი განცხადების საფუძველზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა
კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია